

კომპიუტერულ მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების საყურადღებოდ!

რეკომენდაციები 2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის წინასწარი რეგისტრაციისთვის

ყველა სტუდენტი, რომელიც არ ამთავრებს სწავლას საბაკალავრო პროგრამაზე 2019 წელს, ვალდებულია სასწავლო პროცესი განახორციელოს **კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის 2018 წლის** რედაქციის შესაბამისად (იხ. https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_zust_sabunebismetk/BSc-Comp-sci.pdf).

პროგრამის სტრუქტურიდან გამომდინარე, საბაკალავრო პროგრამის სრულ დამთავრებამდე, გარდა დარგობრივი საგნებისა, სტუდენტმა უნდა აირჩიოს: **მათემატიკის** საბაკალავრო პროგრამის 2 არჩევითი საგანი, **მეცნიერების** ბლოკის 6 საგანი, **ზოგადი** განათლების 6 საგანი. საგანთა შერჩევა შესაძლებელი შემდეგი სიიდან:

მათემატიკის ბლოკი

მათემატიკური ანალიზი I: ერთი ცვლადის ფუნქციათა დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვა; რიცხვითი ანალიზი I: წრფივი ალგებრის, ფუნქციათა მიახლოების, არაწრფივი განტოლებების ამოხსნის, ინტეგრებისა და გაწარმოების მეთოდები; ალბათობის თეორია; ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებები; კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორია; რიცხვითი მეთოდები კერძო წარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებებისათვის; დრეკადობის თეორიის საფუძვლები.

მეცნიერების ბლოკი

ერთი მაინც შესავალი - ფიზიკის შესავალი, ქიმიის შესავალი, გეოგრაფიის შესავალი, გეოლოგიის შესავალი, ბიოლოგიის შესავალი.

ნებისმიერი საგანი ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის, გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამიდან (მათ შორის ერთი მაინც ლაბორატორიის შემცველი).

ზოგადი განათლების ბლოკი (არჩევა მოხდება აკადემიური რეგისტრაციის დროს)

განათლების ფსიქოლოგია, პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, მეცნიერების ისტორია, ეკონომიკის პრინციპები, ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 1, მარკეტინგი 1, ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი; ელექტრონიკის საბაკალავრო პროგრამის დარგობრივი საგნები.

დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ კომპიუტერული მეცნიერების დეპარტამენტის ხელმძღვანელს ელექტრონული ფოსტით: manana.khachidze@tsu.ge